

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

## XI კლასი

### I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზვით სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

- შეუძლებელია, ზუსტად განსაზღვროს ვინმემ, რა იგულისხმება მწერლის „დუმილსა“ თუ „გვერდზე დგომაში“, ანუ რას უნდა ამბობდეს, ან როდის, როგორ უნდა იქცეოდეს მწერალი, რათა ყველასათვის ერთნაირად გასაგები გახადოს ხალხის სატკივარი.
  - ეს ყოვლად გაუმართლებელი და უსაფუძვლო პრეტენზიაა მწერლის მიმართ გამოთქმული, მაგრამ თუკი ღრმად ჩაუფიქრდებით, ეს პრეტენზიაც მწერლისადმი ფარული და ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი ნდობითა და სიყვარულითაა აღძრული. ფიზიკური დაუცველობისა თუ სულიერი სიღატაკის შეგრძნება აიძულებს ადამიანს ბრმად, ალაღბედზე ეძებოს ქომაგი, რომელსაც ამ შემთხვევაში მწერლობა წარმოადგენს.
  - შემაწუხებელი შეგრძნებებით დაბნეული ადამიანი მართალია ალაღბედზე, მაგრამ ზუსტად იმ კარზე აკაკუნებს, რომლის იქითაც მისი მარადიული ქომაგი ანუ მწერალი „დუმს“.
  - მწერლობა იგივე მახსოვრობაა ხალხისა და მისი მეშვეობით, თითქმის მათემატიკური სიზუსტით შეუძლია ხალხს იმის აღდგენა, თუ როდის რა შემთხვევია და განუცდია. თუკი მწერლის ხმა გარკვეულ ეტაპზე დუმილად აღიქმება, ეს მწერლობას არ ეხება. აქ კონკრეტული მწერალია დამნაშავე.
  - და მაინც, ნებისმიერი საზოგადოება, ნებისმიერ ეპოქაში, თავს უფლებამოსილად თვლის, გარკვეული პრეტენზია წაუყენოს მწერალს, იმის თქმა და ჩადენა დაევალოს, რისი თქმაცა და ჩადენაც თავისთვის სახიფათოდ მიაჩნია.
  - ყველა კონკრეტული მწერალი მწერლობის განსახიერებაა. სინამდვილეში ასე არ არის. მართალია, მწერლობა მწერლებისაგან შედგება, მაგრამ არც ერთ მწერალს არ ძალუძს მთელი მწერლობის მაგივრობის გაწევა. მაგრამ, ჩემი აზრით, არ ყოფილა მეტნაკლებად სერიოზული მწერალი, უყურადღებოდ დაეტოვებინოს რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში, შეძლებისდაგვარად არ გამოხმაურებოდეს საერთო საქვეყნო სატკივარს.
- რა არის მთავარი სათქმელი პირველი აზრების მიხედვით?**
    - მწერლის ფუნქციისა და დანიშნულების განსაზღვრა;
    - შეუძლებელია, ზუსტად განსაზღვროს როდის, სად, როგორ უნდა ამბობდეს მწერალი სიტყვას;
    - მწერალმა ზუსტად განსაზღვროს, ყველასათვის გასაგები გახადოს ხალხის სატკივარი;
  - რა არის პირველი აზრების ფუნქცია?**
    - პრობლემის გადაჭრა;
    - პრობლემის წამოჭრა;
    - პრობლემის უარყოფა;
  - მეორე აზრების მიხედვით, რა აიძულებს ადამიანს ალაღბედზე ეძებოს ქომაგი?**
    - დიდი სიყვარული;
    - დაუცველობის შეგრძნება;
    - ნდობა და სიყვარული, ფიზიკური დაუცველობა და სულიერი სიღატაკე;
  - ვინ ექომაგება ადამიანს მე-2 აზრების მიხედვით?**
    - მწერლობა
    - საზოგადოება
    - მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟები
  - რა მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა „დუმს“ მესამე აზრაცში?**
    - დიდი მნიშვნელობა ამ სიტყვას არა აქვს;
    - პირდაპირი მნიშვნელობით;
    - გადატანითი მნიშვნელობით;
  - რა არის მე-4 აზრების მთავარი სათქმელი?**
    - მწერლობა მახსოვრობაა ხალხის;
    - მწერლის ხმა გარკვეულ ეტაპზე დუმილად აღიქმება;
    - მწერლისათვის მათემატიკური სიზუსტე მნიშვნელოვანია;
  - რა აკავშირებს ერთმანეთთან მე-3 და მე-4 აზრაცს ?**
    - ორივე აზრაცში საუბარია მწერლობის დანიშნულებაზე;
    - ამ აზრაცებს საერთო არ აქვს;
    - მე-4 აზრაცი ბუნდოვანს ხდის მე-3 აზრაცში გამოთქმულ აზრს
  - რა არის მე-5 აზრების მთავარი სათქმელი?**
    - მწერლობა და მწერალი სინამდვილეს, სიმართლეს უნდა ემსახუროს;
    - მწერალს თავად რაც სურს, მხოლოდ იმას გადმოსცემს;
    - მწერალი მხოლოდ სახიფათო ამბებს აღწერს;



